# Environmental Art

**სტატია**

**მოამზადა თათია ბარბაქაძე**

**რესურსის მიზანი**: საკითხავი მასალა განკუთვნილია VII-IX კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებისთვის. ტექსტის მიზანია მასწავლებლებს Environmental Art-ის მიმდინარეობაზე ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი არტისტებისა და ნამუშევრების შესახებ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდოს.

**ხელოვნების ნიმუშების ამსახველი პრეზენტაცია შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ბმულზე**

სახელოვნებო სივრცეში ეკოლოგიის თემით დაინტერესება მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება. ამ დროიდან ვიზუალურ ხელოვნებაში გარემოს პრობლემებთან დაკავშირებულ მიმდინარეობას Environmental Art-ი ეწოდა. Environmental Art-ში შესრულებული ნამუშევრების მიზანია ეკოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე აპელირება და მაყურებლისთვის ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ იცვლება ბუნება, გარემო პირობების ცვლილებასთან ერთად რა ემართება ადამიანის ცხოვრების წესს, მის მსოფლმხედველობას, როგორია ადამიანების ბუნებასთან დამოკიდებულება, რა იწვევს მის ცვლილებას და ა.შ.

Environmental Art-ის მიმდინარეობაზე საუბრისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელოვანის გამოკვეთა არის საჭირო. უნგრულ-ამერიკული წარმოშობის ხელოვანი აგნეს დენესი 1931 წელს ბუდაპეშტში დაიბადა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტების ოკუპაციისგან თავის დაცვის მიზნით, 1944 წელს აგნესის ოჯახი შვედეთის გავლით ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. ამ პერიოდიდან მოყოლებული აგნესი აშშ-ში მუშაობს.

აგნეს დენესი ეკოლოგიასთან დაკავშირებული თემებით 1960-იან წლებში დაინტერესდა. მის ნამუშევრებში აღსანიშნავია "რუკების პროგნოზების" სერია. არტისტი სერიაზე 1973-80 წლებში მუშაობდა. ნამუშევრები სხვადასხვა მასალით (აკვარელი, ტუში, პლასტმასი, ქაღალდი) არის შექმნილი. არტისტი ამ სერიით მაყურებელს ერთი შეხედვით აბსურდულ, სრულიად არარეალურ გამოსახულებას აჩვენებს. ნამუშევრების იდეა კი ასეთია: პლანეტა დედამიწა, ყოველ ახალ "ჩანახატში" ფორმას რადიკალურად იცვლის. დედამიწის ტრადიციული ფორმა, პირამიდით, კვადრატით, ოვალით, მართი თუ წაგრძელებული ფორმებით იცვლება. ბუნებრივია, რომ დედამიწის ფორმის ცვლილება კლიმატური პირობების, კონტინენტებისა თუ ოკეანეთა სისტემის ცვლილებასაც იწვევს. ნამუშევრებზე კონტინენტები ხან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ხანაც კი სრულიად დაშორებულია ერთმანეთისგან. ამ აბსურდული ფორმის პლანეტაზე კი ადამიანისთვის საცხოვრებელი პირობების შექმნა უკვე რთული წარმოსადგენი ხდება. ნამუშევრები მეტაფორულად, გროტესკის ხერხის გამოყენებით,[1] მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ შეუძლია დედამიწას ადამიანების უხეში ჩარევის შედეგად შეიცვალოს. არტისტის მხრიდან გეომეტრიული ფორმებით მანიპულაცია ხაზს უსვამს ადამიანების მიერ გარემოზე ზემოქმედების ერთგვარ დაუოკებელ სურვილს და ჩვენგან, მაყურებლებისგან, მოსალოდნელი შედეგების გაანალიზებას მოითხოვს.

Environmental Art-ის მიმდინარეობაში გამოირჩევა ოლაფურ ელიასონის ფიგურაც. მან ინსტალაცია The weather project-ი ჯერ კიდევ 2003 წელს ლონდონში, Tate Modern-ის Turbine Hall-ის, ყოფილ ინდუსტრიულ და აწ უკვე თანამედროვე ხელოვნებისთვის დათმობილ, სივრცეში წარმოადგინა. კონცეფცია ამინდის, მზის და ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობის გააზრებას ან ხელახლა გადააზრებას ითხოვდა

[1] https://www.theartstory.org/artist/denes-agnes/

დამთვალიერებლისგან. ექსპოზიცია შეეხებოდა ეკოლოგიას ანუ, იმ გარემოს, რომელშიც ადამიანი თავისი ისტორიული წარსულიდან მოყოლებული დღემდე ცხოვრობს. საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი იყო ხელოვნურად შექმნილი მზე. მთლიანი ექსპოზიცია ბუნებრივი გარემოს ხელოვნურ იმიტაციას წარმოადგენდა. ამისთვის კი არტისტმა დარბაზის ცენტრში ნახევრად წრიული ეკრანით, სარკეებით, განათებითა და ხელოვნური ნისლის ეფექტით მზის ჩასვლის ილუზია შექმნა.

მხატვრობის ისტორიაში ტილოზე არაერთხელ აღბეჭდილი პეიზაჟი 21-ე საუკუნეში რადიკალურად შეიცვალა, რადგან ოლაფურ ელიასონის "ხელოვნურ მზეს" დაკარგული ჰქონდა ფუნქცია. ის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებისთვის საარსებო გარემოს ვერ ქმნიდა. "ხელოვნურ მზეს" ჰქონდა მხოლოდ ვიზუალური ეფექტი და რეალურად არც სითბოს გამოჰყოფდა და არც რაიმე ფიზიკური თუ ქიმიური პროცესების განხორციელება შეეძლო. არტისტის მხრიდან ეს იყო მესიჯი და ერთგვარი გაფრთხილებაც, რომ ამ ტიპის აპოკალიფტური მომავალი სავსებით მოსალოდნელი იყო.

საინტერესოა, რომ გამოფენის კატალოგს თან დართული ჰქონდა ინტერვიუები[2] Tate Modern-ის თანამშრომლებთან. რესპონდენტებს მსგავს კითხვებზე უწევდათ პასუხების გაცემა: „რამდენად იცით, როგორი ამინდია თქვენი სამუშაო ადგილის მიღმა?", „ამინდის ფენომენს ოდესმე თქვენი ცხოვრება დრამატულად თუ შეუცვლია?" და ა.შ. პასუხები და ამინდათან დაკავშირებული რეპორტები ასევე კატალოგში იყო გამოქვეყნებული. ამ ინსტალაციით ოლაფურ ელიასონმა ბუნებრივი გარემოს საკითხის მნიშვნელობა მაყურებლის ყოველდღიურ რუტინაში დააბრუნა. ინტერვიუს დროს დასმული კითხვებიც ამ მოსაზრების დადასტურებაა.

ოლაფურ ელიასონის ინსტალაციიდან დღემდე ბუნებრივმა გარემომ მრავალი ცვლილება განიცადა. 2020 წელს, როდესაც COVID-19-ის პანდემიამ იფეთქა, მედიაში სულ უფრო და უფრო ხშირად მუსირებდა მოსაზრება, რომ ვირუსი ეკოლოგიური პრობლემების გამოძახილია. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა, ინგერ ანდერსენმა, კორონა ვირუსის შესახებ The Guardian-თან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ მიმდინარე კლიმატის კრიზისით და პანდემიით ბუნება ადამიანებს მესიჯს უგზავნიდა[3]. ბუნების მესიჯი, რასაკვირველია, ადამიანის მიერ გარემოზე მავნე ზემოქმედებას ეხება, რომელსაც შესაძლოა, ათწლეულებში კატასტროფული შედეგები მოჰყვეს.

[2] https://olafureliasson.net/archive/publication/MDA105072/the-weather

[3] The Guardian, 25 მარტი, 2020 წ. https://www.theguardian.com/world/2020/mar/25/coronavirus- nature-is-sending-us-a-message-says-un-environment-chief

*"ერთი აღმოსავლელი ბრძენკაცი ლოცვებში მუდამ იმას შესთხოვდა ზეცას, საინტერესო ეპოქაში ცხოვრება აერიდებინა მისთვის. რაკი ჩვენ ბრძენკაცები არა ვართ , ზეცამ არ დაგვინდო და საინტერესო ეპოქაში ცხოვრება გვარგუნა წილად.[4]"*

*ალბერ კამიუ 1957 წ.*

*„შეიძლება, თქვენ ცხოვრობთ საინტერესო დროს"*

*ვენეციის 58-ე ბიენალე, 2019 წ.*

დღეს ეკოლოგია პოლიტიკის ნაწილია, მაგრამ საკამათოა მთავრობები რამდენად ანიჭებენ ეკოლოგიურ პრობლემებს პრიორიტეტს. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით გაეროს ჩარჩო კონვენციის ფარგლებში „პარიზის შეთანხმება" 2015 წელს შედგა. შეთანხმება ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს კლიმატის ცვლილებაზე ზრუნვას. პარიზის შეთანხმების დოკუმენტში წერია: „(მხარეები) აღიარებენ რა კლიმატის ცვლილების მუდმივი საფრთხის წინააღმდეგ ეფექტიანი და პროგრესული რეაგირების საჭიროებას, ხელმისაწვდომი საუკეთესო ცოდნის საფუძველზე..."[5]

გარემოზე ადამიანის მავნე ზემოქმედების შედეგი ჯერ კიდევ 2019 წელს ვენეციის ბიენალეს გამარჯვებულმა ქვეყნის, ლიეტუვას პავილიონმა წარმოადგინა. უშუალოდ ბიენალე კი ეკოლოგიას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიეძღვნა. ბიენალეს სათაური, რომ შესაძლოა, საინტერესო დროს გვიწევს ცხოვრება საკმაოდ პოლიტიკურად ჟღერდა. თუმცა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვები ბრიტანელ პოლიტიკოსის, ჯოზეფ ჩემბერლენისა და აშშ-ს პრეზიდენტის, ჯონ კენედის მიერ სხვადასხვა დროს გაჟღერდა, არამედ ეს ირონიული ფრაზა ხაზს უსვამს პოლიტიკურ-ეკონომიკური კატაკლიზმების მნიშვნელობას. თუკი საინტერესო დროს მოუწია ადამიანს ცხოვრება ე.ი. ის მრავალი პროცესის შემსწრეა. ამავე იდეას ატარებს ალბერ კამიუს მიერ „ნობელის პრემიის" გადაცემის შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში გაჟღერებული ფრაზაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ალბერ კამიუ 1957 წელს მიიჩნევდა, რომ „საინტერესო დროს" უწევდა ცხოვრება. და მართლაც, ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, რა დროსაც ევროპამ ღირებულებები, პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფოს ცნება გადააფასა. თუმცა, მიუხედავად ამისა, 21-ე საუკუნეში, ზუსტად 62 წლის შემდეგ, კვლავ აქტუალურია „საინტერესო დროში ცხოვრების" იდეა.

ამ მხრივ, საკმაოდ ზუსტია ვენეციის ბიენალეს ორგანიზატორების მიერ არჩეული თემა. ტერორიზმთან, მიგრაციასთან თუ ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, თანამედროვე სამყაროში გარემოს დაცვის საკითხიც დგას. ბიენალეს გამარჯვებული ლიეტუვა გახდა, რომლის პავილიონი პერფორმანსს დაეთმო. შეიძლება, ითქვას, რომ ეს იყო ერთგვარი მარინისტული პეიზაჟი. ისეთი უწყინარი სურათი, როგორიც მაგალითად, იმპრესიონისტების ან პუანტელისტების შემოქმედებაში გვხვდება. მაყურებლის პოზიცია ტრადიციულია - ის არის დამკვირვებელი (უშუალოდ არ მონაწილეობს პერფორმანსში). პერფორმანსისთვის განკუთვნილი დარბაზის იატაკი მთლიანად ქვიშით არის დაფარული. დარბაზის სხვდასხვა ადგილას, ქვიშაზე განსხვავებული სიტუაციები იქმნება. ქვიშაში ბავშვები თამაშობენ, ვიღაც ირუჯება, ზოგი წიგნს კითხულობს და ა.შ. თუმცა არსად ჩანს მზე, სითბო, არც ტალღების ხმა ისმის. პერფორმანსში მოქმედი უკლებლივ ყველა მონაწილე „შემზარავად მშრალია". მზის ნაცვლად

[4] "ყველაზე დიდი ცოდვა ზედაპირულობაა", ალბერ კამიუს სიტყვა ნობელის პრემიის მიღების შემდეგ, "ნობელიანტების ლექციები", გამომცემლობა „ინტელექტი", 2019 წ. გვ. 162

[5] https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3702467/0/ge/pdf?fbclid=IwAR3bFB2V4lkqUIclSVLjIdPF2jAg6XGU6in7-31JRKDinp3DSSCdGwu85tY

„ხელოვნურ პლიაჟს“ ასევე ხელოვნური განათება აქვს: ოთხი დიდი პროჟექტორი. პროჟექტორები ანათებს, თუმცა არ ათბობს.

პერფორმანსში მონაწილე ჯგუფების ქცევა იმდენად რეალურია, რომ წარმოდგენა სრულიად არ ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ ადამიანები სადღაც გამოგონილ ან სხვა სამყაროში ცხოვრობენ. მათი რეალობა სინამდვილეა, აქ, ამ პლანეტაზე. სიტუაციას ამძაფრებს პერფორმანსის მონაწილეების სიმღერაც. ამ შემთხვევაში მაყურებელთან კომუნიკაციის დასამყარებლად სიმღერა არის მხატვრული ხერხი. პერფორმანსის მონაწილეები ამ ხერხით გამოფენაზე მისულ ადამიანებს საკუთარ ისტორიას უყვებიან. მათი მონათხრობიდან მაყურებელი იგებს, რომ პერსონაჟები განსხვავებული სოციალური მდგომარეობის, სრულიად სხვადასხვა ტემპერამენტის ადამიანები არიან. მათი სიმღერა ხსნის წარმოდგენის ხასიათს, იწვევს ინტერესს და პუბლიკას უბიძგებს პერფორმანსს ბოლომდე დაესწროს. ეს ის შემთხვევაა, როცა წარმოდგენა ახლოს დგას თეატრალურ ჩანაფიქრთან. მაყურებლის თვალწინ თამაშდება აბსურდის სცენა, რომელსაც გამართული სიუჟეტური ხაზი აქვს. მხოლოდ დასრულების შემდეგ აცნობიერებს ადამიანი რეალურ საფრთხეს, იმას, რომ სულ მალე შეიძლება აბსურდი მისი რეალობა გახდეს. კომპოზიციის ასე აგება უკავშირდება უშუალოდ არტისტების გამოცდილებას. ლინა ლაპელიტე არის კომპოზიტორი, ხოლო მისი პარტნიორი ვაივა გრანიტე-დრამატურგი. შესაბამისად, ორივე არტისტის გამოცდილებამ ვიზუალური ხელოვნების კონტექსტში მიიღო ნარატიული, მუსიკალური, დრამატული და კონცეპტუალურად ყველასთვის გასაგები ფორმა.

პერფორმანსი არის ილუზია, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები. ფაქტობრივად, ეს არის სურათი, რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანები ეკოლოგიურ პრობლემებს სერიოზულად არ აღიქვამენ. პერფორმანსის ყველა მონაწილე თავს იტყუებს. ისინი პლიაჟზე კი არ ისვენებენ უფრო მეტად იძაბებიან, ელოდებიან რეალურს, ნამდვილს, რომელიც აღარ არსებობს. საერთაშორისო არტ სცენიდან ასეთი მესიჯი გზავნილია, როგორც მთავრობებისთვის ისე რიგითი ადამიანებისთვის. ეკოლოგიის მიმართ დამოკიდებულების არშეცვლის შემთხვევაში სამყაროს ასეთი ტყუილის მდგომარეობაში მოუწევს ცხოვრება. ეკოლოგიური პრობლემები, კლიმატის ცვლილება იწვევს იმას, რომ საზოგადოების ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობა წყდება, რაც ადამიანების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა თუ ჯანმრთელეობაზე ნეგატიურად აისახება.

**Environmental Art**-ის მიზანი კი სრულიად ნათელი და გასაგებია. არტისტები ხელოვნების ენით ცდილობენ ადამიანების დაფიქრებას იმ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, რასაც სიცოცხლისთვის საჭირო ჯანსაღი გარემოს არსებობა ჰქვია. ყველა ამ ნამუშევარს საერთო იდეა აერთიანებს. ნამუშევრების კონცეფცია ეკოლოგიურ თემებზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობას და მოსალოდნელ საფრთხეებზე მინიშნებას ემსახურება. სხვადასხვა მასალასა თუ ფორმაში შესრულებული ყველა ეს ნამუშევარი ადამიანებს მუდმივად ახსენებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და სასიცოცხლოდ აუცილებელია ბუნებრივი გარემო, ზომიერი კლიმატი, ნოყიერი ნიადაგი, ზღვა და ნამდვილი, რეალური მზე.

**ლექსიკონი:**

**პერფორმანსი** - თანამედროვე ხელოვნების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, რა დროსაც არტისტი ან არტისტების ჯგუფი კონკრეტულ დროსა და სივრცეში წინასწარ განსაზღვრული იდეის ან სპონტანური სცენარის მიხედვით გარკვეულ მოქმედებას ასრულებენ[6].

**ინსტალაცია** - თანამედროვე ხელოვნების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. ტერმინი ინსტალაციის ხელოვნება გამოიყენება ფართომასშტაბიანი, შერეული მედიის (მასალების) კონსტრუქციების აღსანიშნავად. ინსტალაცია ხშირად განკუთვნილია კონკრეტული ადგილისთვის ან დროის გარკვეულ პერიოდში სივრცეში განსათავსებლად. რაც განასხვავებს ინსტალაციას სახვითი ხელოვნების

[6] https://www.tate.org.uk/art/art-terms/p/performance-art

ტრადიციული ფორმებისგან არის ის, რომ მაყურებლისთვის ეს არის ერთიანი აღქმა და არა ცალკეული, ინდივიდუალური ნამუშევრების დათვალიერება[7].

**ვენეციის ბიენალე** - საერთაშორისო გამოფენა, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ვენეციის ბიენალე პირველად 1895 წელს ჩატარდა[8]. ქვეყნები ბიენალეზე ეროვნული პავილიონების სახით მონაწილეობენ. გამარჯვებულს, რომელსაც "ოქროს ლომი" გადაეცემა, ჟიური ავლენს. აღსანიშნავია, რომ ყოველი ბიენალეს ჩატარების დროს კონკრეტული თემა არის შერჩეული, რომლის მიხედვითაც კონკურსში მონაწილე ქვეყნების არტისტები ნამუშევრებს ქმნიან.

## დამოწმებული წყაროები:


1. https://www.tate.org.uk/art/art-terms/p/performance-art
2. https://www.tate.org.uk/art/art-terms/i/installation-art
3. https://www.tate.org.uk/art/art-terms/b/biennial
4. https://www.theartstory.org/artist/denes-agnes/
5. https://olafureliasson.net/archive/publication/MDA105072/the-weather
6. project?fbclid=IwAR0MKSQz5I4Zy6ktYfY6C_epR9jr15wn6Den5-5OxxAyIJDuGBCoB_n18J0#slidesho
7. The Guardian, 25 მარტი, 2020 წ. https://www.theguardian.com/world/2020/mar/25/coronavirus- nature-is-sending-us-a-message-says-un-environment-chief
8. ყველაზე დიდი ცოდვა ზედაპირულობაა", ალბერ კამიუს სიტყვა ნობელის პრემიის მიღების შემდეგ, "ნობელიანტების ლექციები", გამომცემლობა „ინტელექტი", 2019 წ.
9. https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3702467/0/ge/pdf?fbclid=IwAR3bFB2V4lkqUIclSVLjIdPF2jAg6XGU6in7-31JRKDinp3DSSCdGwu85tY
10. ტექსტის დიდი ნაწილი აღებულია თათია ბარბაქაძის სამაგისტრო ნაშრომიდან: "ვიზუალური ნიშნები და ტრადიციული მასალის ინტერპრეტაცია ლია ბაგრატიონის შემოქმედებაში". სტატიაში წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომიდან ტექსტის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო არტ სცენაზე ეკოლოგიის თემასთან დაკავშირებული არტისტებისა და მათი ნამუშევრების მიმოხილვას გულისხმობს.


[7] https://www.tate.org.uk/art/art-terms/i/installation-art

[8] https://www.tate.org.uk/art/art-terms/b/biennial